საქართველოს პარლამენტს

ლაშა ტუღუშის

პ/ნ 01018002674

მის: თბილისი, ხოშტარიას ქ. № 3

ზვიად ქორიძის

პ/ნ 01015000691

მის: თბილისი, პეტრიაშვილის ქ. №14

ლიკა საჯაიას

პ/ნ 01018008805

მის: თბილისი, კრწანისის ქ№ 3

## საკანონმდებლო წინადადება

ბოლო წლების განმავლობაში საქართველოს ხელისუფლების მიერ მასობრივად ხორციელდებოდა ფარული თვალთვალი და საქართველოს მოქალაქეთა პირადი ცხოვრების საიდუმლოების დარღვევა. საკანონმდებლო ხარვეზები, კერძოდ ადამიანის პირადი ცხოვრებისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონის მიერ გარანტირებული არასაკმარისი სამართლებლივი გარანტიები, ხელს უწყობდა აღნიშნული უფლებების მასობრივ ხელყოფას. აღნიშნული პრობლემის მასშტაბური ხასიათი დამახასიათებელია არა მხოლოდ საქართველოს, არამედ ზოგადად პოსტ საბჭოთა ქვეყნებისათვის. გაეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო კონვენციის, ევროპის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციით აღიარებული პირადი საიდუმლოების უფლებათა დარღვევა ხელისუფლების მხრიდან ხელს უშლის საქართველოს განვითარდეს დემოკრატიული გზით და მოახდინოს ევროპულ სივრცეში ინტეგრირება.

არსებული პრობლემის მოსაგვარებლად მიზანშეწონილია ცვლილებები შევიდეს შემდეგ კანონებში: „საქართველოს კანონი ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ"; „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი"; „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი";

საქართველოს პარლამენტის აპარატი
საქმისწარმოების დეპარტამენტი
სააღ. № 27788
03 06 2013 წ. ფურცლ. 40

„საქართველოს კანონი ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“; „საქართველოს კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“.

საკანონმდებლო წინადადების მიზნებია:

აღმოიფხვრას კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები და გამოსწორდეს მდგომარეობა შემდეგ პრობლემებთან დაკავშირებით: ფარული თვალთვალისა და მიყურადების განხორციელება შესაძლებელი გახდეს მხოლოდ მძიმე დანაშაულის შემთხვევებში განსასზღვრული ვადით ერთი თვით, რომელიც მოსამართლის ბრძანებით შეიძლება გაგრძელდეს ერთი თვით; განადგურდეს არა მხოლოდ პირის მაკომპრომეტირებელი ცნობები, არამედ პირადი ანფორმაციის შემცველი ცნობები; იმ ინფორმაციის განადგურების შესახებ, რომელიც  არ ეხება დანაშაულებრივ საქმიანობას, მაგრამ შეიცავს ცნობებს პირის პირადი ცხოვრების შესახებ ეცნობოს არა მხოლოდ მთავარ პროკურორსა და იუსტიციის მინისტრს, არამედ მოსამართლეს, რომელმაც გასცა ბრძანება ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ჩატარების შესახებ ან მიიღო დადგენილება ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების უკანონოდ ცნობის, მისი შედეგების გაუქმებისა და ამ ღონისძიებით მოპოვებული მონაცემების განადგურების შესახებ; ინფორმაციის განადგურების შესახებ შედგეს აქტი, რომელსაც ხელს მოაწერენ ინფორმაციის განადგურებაზე პასუხისმგებელი და ზედამხედველობის განმახორციელებელი პირები; ფარული თვალთვალი და მიყურადება, ასევე “ოპერატიულ–სამძებრო საქმიანობის შესახებ” კანონის მე–7 მუხლის მე–2 პუნქტის  “თ” და “ი” ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ოპერატიულ–სამძებრო ღონისძიებები გამოყენებული იქნეს მხოლოდ, როგორც უკანასკნელი საშუალება, როდესაც ოპერატიულ-სამძებრო სხვა ღონისძიებებით შეუძლებელია ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ამოცანების მიღწევა; დანაშაულის გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში მოქალაქეთა პირადი ცხოვრების დაცვის მიზნით სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით აიკრძალოს, როგორც  პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის უკანონოდ გამჟღავნება, ასევე მათი შენახვა, რადგან ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს ადამიანის ფუნდამენტური უფლების ხელყოფასთან; სისხლის სამართალწარმოების პროცესში უკანონო შენახვისა და გამჟღავნებისადგან დაცული იყოს როგორც ადამიანის პირადი ცხოვრების შესახებ ცნობები ასევე მისი პერსონალური ინფორმაცია; კოდექსში აღნიშნოს, რომ პირის პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის, პერსონალური მონაცემების უკანონო გამჟღავნება და შენახვა იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით; სისხლის სამართლით დანაშაულად იყოს აღიარებული არა მხოლოდ პირადი და ოჯახური საიდუმლოს, არამედ პერსონალური ინფორმაციის დაცვის უფლების ხელყოფა; გამკაცრდეს სასჯელი აღნიშნული უფლებების ხელყოფისათვის, კერძოდ: დამამძიმებელი გარემოებით დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში თავისუფლების აღკვეთა ნაცვლად სამი წლისა განისაზღვროს ხუთი წლით; დამამძიმებელ გარემოებად იყოს მიჩნეული აღნიშნული დანაშაულის ჩადენა პოლიტიკური მოტივით; ასევე დამამძიმებელ გარემოებად იყოს მიჩნეული  კერძო კომუნიკაციის საიდუმლოების დარღვევა ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში დასაქმებული  სუბიექტის მიერ; ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში დასაქმებული სუბიექტი ვალდებული იყოს  დაუყოვნებლივ გაანადგუროს

საკომუნიკაციო ქსელების მეშვეობით მომხმარებლის მიერ გადაცემული ინფორმაცია; გაიზარდოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის უფლებამოსილება და ანგარიშვალდებულება, ასევე მოქალაქეთა ხელმისაწვდომობა პერსონალურ ინფორმაციასთან; პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ინსტიტუტის ფორმირებაში მონაწილეობა მიიღოს პარლამენტმა და ინსპექტორი მთავრობასთან ერთად ანგარიშვალდებული იყოს პარლამენტის წინაშე.

საკანონმდებლო წინადადებას ვურთავთ საკანონმდებლო ცვლილებების პროექტს. თითოეული კანონის პროექტის განმარტებით ბარათში დეტალურად არის გაწერილი კანონპროექტების მიღების მიზეზი, მიზანი, არსი და დასაბუთება.

დანართი - 37 ფურცელი

**პატივისცემით:**

ლაშა ტუღუში

ზვიად ქორიძე

ლიკა საჯაია